<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გუჯარეთის I ქუჩისთვის იურისტის, საზოგადო მოღვაწის დავით ხელთუფლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, გუჯარეთის I ქუჩას მიენიჭოს იურისტის, საზოგადო მოღვაწის დავით ხელთუფლიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:485916 Y:4615688
X:486205 Y:4615612
X:486463 Y:4615576
X:486553 Y:4615552
X:486663 Y:4615543
N
1:3,000



დავით ხელთუფლიშვილი

(1862-1921)

პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სენატის (უზენაესი სასამართლოს) თავმჯდომარე (1919-1921).

დაიბადა ქუთაისის გუბერნიაში. მამა — ბესარიონ ანდრიას ძე ხელთუფლიშვილი, დედა — თეოდოსია ფირანის ასული ლორთქიფანიძე–ხელთუფლიშვილისა. მისი ძმები იყვნენ პლატონ და მიხეილ ხელთუფლიშვილები, დეიდაშვილი — ნიკო ნიკოლაძე.

უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში იყო ქუთაისის ნაფიც ვექილთა კორპორაციის წევრი, ასევე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრი. ითვლებოდა სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად კავკასიაში.

1919 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ დავით ხელთუფლიშვილი რესპუბლიკის სენატის (უზენაესი სასამართლოს) თავმჯდომარედ აირჩია. მისი და სენატის წევრთა არჩევის თაობაზე გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა ექვთიმე თაყაიშვილმა. 1919 წელის 23 ოქტომბერს საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის საზოგადო კრების საჯარო სხდომაზე, სენატორებმა დადეს ფიცი („საჯარო აღთქმა“), რომელსაც პირველმა დავით ხელთუფლიშვილმა მოაწერა ხელი.

ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, დავით ხელთუფლიშვილი თბილისში გადავიდა და სათავეში ჩაუდგა სენატს, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ქართულმა საზოგადოებამ დიდი პატივი მიაგო, როგორც უაღრესად პატიოსან და პროფესიონალ პიროვნებას. სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ისტორიული წყაროები დავით ხელთუფლიშვილის შესახებ

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სენატის პირველ ხელმძღვანელზე - დავით ხელთუფლიშვილზე მცირეოდენი ცნობები თუ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გაშუქდეს მისი ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი, მეტ-ნაკლები წარმოდგენა ვიქონიოთ მის სამართლებრივ და საერთო მსოფლმხედველობაზე. დავით ხელთუფლიშვილის სამეცნიერო და სამოსამართლო კარიერას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისმა უნიკალურმა ნიჭიერებამ, დაუცხრომელმა შემოქმედებამ და ნაყოფიერმა მამულიშვილურმა საქმიანობამ. იგი დაიბადა 1861 წელს ქუთაისში სწავლულთა ოჯახში. მისი შორეული წინაპრები იურისკონსულტები (*ხელთუფალნი*) ყოფილან იმერეთის მეფის კარზე. მამამისი *გესარიონ ხელთუფლიშვილი* XIX საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისის საქალაქო სათათბიროს წევრი იყო და 1876 წლიდან მოიხსენიება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არჩევნებში მონაწილეთა სიაში. დავით ხელთუფლიშვილის და-ძმები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები იყვნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ოჯახში ჩაეყარა საფუძველი მის შემოქმედებით მოღვაწეობას, რომელიც შეიძლება ასე შეფასდეს: ქართული სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთ-ერთი ნაყოფიერი შემოქმედი.

დავით ხელთუფლიშვილი ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია 1887 წლიდან. მას საკანდიდატო დისერტაცია 1886 წელს დაუცავს თემაზე *„ჩუქების სამართლებრივი ბუნება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“* სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში. დავით ხელთუფლიშვილი ასევე გახლდათ ქუთაისის ნაფიც-ვექილთა კორპორაციის, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს კომისიისა (1897 წლიდან) და ქუთაისის სასურსათო კრედიტის საზოგადოების საბჭოს წევრი (1895 წლიდან).

მოღვაწეობა საქართველოს სენატში

დავით ხელთუფლიშვილის უზადო პიროვნული და პროფესიული უნარი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ის საქართველოს სენატს ჩასდგომოდა სათავეში. მან ეს საპასუხისმგებლო ტვირთი იკისრა მაშინ, როდესაც საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმირების ურთულესი პროცესები მიმდინარეობდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე დავით ხელთუფლიშვილი ერთხმად იქნა არჩეული საქართველოს სენატის პირველ თავმჯდომარედ. მისი და სენატის წევრთა არჩევის თაობაზე გადაწყვეტილებას ხელს *ექვთიმე თაყაიშვილი* აწერს. იგი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა იმავე წლის 10 ოქტომბერს. 1919 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის საზოგადო კრების საჯარო სხდომაზე სენატორებმა დადეს სასენატორო ფიცი („საჯარო აღთქმა“), რომელსაც პირველმა დავით ხელთუფლიშვილმა მოაწერა ხელ:

„საჯაროდ აღვსთქვამ, ვიყო ერთგული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის, ვასრულო მტკიცედ რესპუბლიკის ყველა კანონები, თვალყური ვადევნო კანონის დაცვას და სისწორით ასრულებას მთავრობის ყველა დაწესებულების და, თანამდებობის პირის მიერ, თვით ვქმნა სამართალი სინდისისამებრ მიუდგომლათ და პირუთვნელათ და ავასრულო მტკიცეთ ყოველივე ჩემ მიერ ნაკისრი მოვალეობა, მახსოვს რა, რომ ამაში პასუხი უნდა ვაგო კანონის და ჩემი სინდისის წინაშე“.

გარდაცვალება და დაკრძალვა

1921 წლის 5 თებერვალს საქართველოს სენატი იუწყებოდა: „ამით გაცნობებთ, რომ საქართველოს სენატის თავმჯდომარე დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი 4 თებერვალს გარდაიცვალა. პანაშვიდი ყოველდღე განსვენებულის ბინაზე. პეტრე დიდის ქ. 22, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 7 თებერვალს დღის 12 საათზე, დაკრძალვა ქუთაისში, 9 თებერვალს“. როგორც ჩანს, მისი დასაფლავება გათვალისწინებული იყო ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში, მაგრამ შემდეგ, როგორც გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ 1921 წლის 9 თებერვლის ნომერი იუწყება, აზრი შეუცვლიათ და ხელთუფლიშვილი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

1921 წლის 8 თებერვალს დავით ხელთუფლიშვილის დაკრძალვას თბილისში აუარებელი ხალხი, მათ შორის საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის თითქმის ყველა წევრი დაესწრო. გამოსათხოვარი სიტყვებით გამოვიდნენ სენატის სახელით *გრ. გველესიანი,* დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით

კონსტანტინე ჯაფარიძე და ნაფიც-ვექილთა კორპორაციის დავალებით *ირ. გუნცაძე.* დაკრძალვაზე ითქვა, რომ საზოგადოება ეთხოვება *„გენიალურ ნიჭს კანონმდებლობის საქმეში“.* ასევე აღინიშნა, რომ დავით ხელთუფლიშვილს ახასიათებდა პირუთვნელობა, მიუდგომლობა, კეთილსინდისიერება, ნაკისრი მოვალეობისადმი სიყვარული და თავდადება.

იმავე დღეს საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე *ალექსანდრე ლომთათიძემ* ისაუბრა მის ღვაწლზე. მან განაცხადა: *„განსვენებული დავით ხელთუფლიშვილი მიეკუთვნებოდა მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე. ჩუმი, მაგრამ მეტად ნაყოფიერი მოღვაწე იყო, მან თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ერის გათვითცნობიერების საქმეში. განსვენებულს, როგორც იურისტს, ბადალი არ ყავდა კავკასიაში. ცხადია, დამფუძნებელმა კრებამ ასეთ ადამიანს ჩააბარა რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარეობა, მაგრამ ბედმა არ არგუნა მას დიდ ხანს სდგომოდა სათავეში ამ დაწესებულებას. აღსანიშნავია განსვენებულის პირადი თვისებებიც: უმწიკვლო და ღრმა კეთილმოსილება და უდიდესი პატივისცემა ადამიანებისადმი. აი, რა ახასიათებდა მას. აი ასეთი პიროვნება დაკარგა ქართულმა საზოგადოებამ და გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ განსვენებულის ხსოვნას“.*

სამგლოვიარო პროცესია ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიიდან დიდუბის პანთეონისაკენ დაიძრა. დავით ხელთუფლიშვილი რჩეულ მოღვაწეთა გვერდით ქართულ მიწას მიაბარეს.

დიდუბის პანთეონში მის საფლავს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

იგი თანამებრძოლებთან ერთად პირუთვნელად ემსახურა სამშობლოს. გულმხურვალე პატრიოტი ბედნიერი და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან: ბედნიერი იმ მხრივ, რომ მან არ იწვნია, ერთი მხრივ, უცხოეთის ცის ქვეშ ემიგრაციაში ყოფნა და, მეორე მხრივ კი, ოკუპაციამდე რამდენიმე დღით ადრე სამშობლოსაგან განშორებას, გადამთიელ ბოლშევიკთა წინაშე სულის დათმობას, ხორცით დაჩოქებას ქართული მადლით გაჯერებულ ცივ სამარეში ყოფნა არჩია.

დავით ხელთუფლიშვილი ქართული სამართლებრივი კულტურის განუყოფელი და ღირსეული ნარმომადგენელია.

ინიციატივა

დავით ხელთუფლიშვილის სახელი და მისი სახე პირველად ევროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გამომზეურდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარის ინიციატივით და მისი პორტრეტი ამ სასამართლოს შენობასა და თავმჯდომარის კაბინეტს ამშვენებდა. საბჭოთა რეჟიმის დროს დავით ხელთუფლიშვილის სახელის ხსენება აკრძალული იყო. დღესაც,

სამწუხაროდ, მას საზოგადოების დიდი ნაწილი არ იცნობს. ამიტომ, სასურველია მისი პიროვნების შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვება.

მუშაობა უნდა გაგრძელდეს ასევე დავით ხელთუფლიშვილის საფლავის აღმოსაჩენად.

ქართული იურიდიული საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გამოჩენილი ქართველი იურისტის დავით ხელთუფლიშვილის სახელის უკვდავყოფის მიზნით სასურველია თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო ქუჩას მიენიჭოს მისი სახელი.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ.

პატივისცემით,

მინდია უგრეხელიძე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი,
სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პროფესორი

ზეკა ქანთარია

51001002256

სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პროფესორი

2022 წელი, 24 იანვარი

ზეკა ქანთარია, თბილისი, გურამიშვილის 12 ა, ბინა 66
ტელ: 599334770
ელ. მისამართი: science.Law@ciu.edu.ge

წერილის ნომერი: **03-032215228**
თარიღი: **01/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორის ბექა ქანთარიას 2022 წლის 26 იანვრის საქმე #19/032202418-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის დავით ხელთუფლიშვილის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გუჯარეთის I შესახვევის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 6 (ექვსი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221583438**
თარიღი: **07/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 01.06.2022 წლის #03-032215228 (01.06.2022წ. #14-01221521941-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი